აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობა

გამგებლის ბრძანება №2-130

2015 წლის სექტემბერი

ქ. თბილისი

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 მარტის №11 დადგენილებით დამტკიცებული ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის“ შესაბამისად,

ვბრძანებ:

1 . აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შეიქმნას მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ლაშა მარგიანი** - აჟარის (ზემო აფხაზეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **ხვანთქარ დევდარიანი** - გამგებლის მოადგილე;

ბ) **გურამ ქოჩქიანი** - გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - (აუქციონატორი);

გ) **გურამ გურჩიანი** - გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - (რეგისტრატორი);

დ) **თეონა ჩხეტიანი** - გამგეობის საფინანსო სამსახურის მთავარი სპეციალისტი - კომისიის მდივანი.

2. აღნიშნულმა კომისიამ უზრუნველყოს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ყველა აუცილებელი საორგანიზაციო სამუშაობის ჩატარება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

გამგებელი **ლაშა მარგიანი**

საქართველო. ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. №89/24; ტელ.: 2 95 12 95